



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/36

ა. თბილისი

30 სექტემბერი 2021

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის
ფაკულტეტისთვის დასახელების შეცვლის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 28 მაისის სხდომის №4 ოქმის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 ივნისის №01-05-04/74 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 სექტემბრის №01-06-02/10 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატმა) დაადგინა:

1. უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების და ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტების რეორგანიზაციის საფუძველზე, შეეცვალოს დასახელება ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტს და ეწოდოს ენერგეტიკის ფაკულტეტი.

2. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ „სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დებულებაში“ შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დებულების დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის დებულება“;

ბ) დებულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ეს დებულება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ენერგეტიკის ფაკულტეტის (შემდგომში „ფაკულტეტი“) მიზნებსა და ამოცანებს, ფაკულტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, მართვის ორგანოებისა და პერსონალის დანიშვნისა და არჩევის წესს, მათ უფლება-მოვალეობებს, ფაკულტეტის მართვის პრინციპებს, ასევე ფაკულტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.“;

გ) დებულების მე-2 მუხლის:

გ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ფაკულტეტი არის უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში შეიმუშავებს და ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის, საწარმოო და სერვისულ სისტემათა ინჟინერინგის, ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტის და ინდუსტრიული პოლიტიკის, ტექნოლოგიების მენეჯმენტის და პოლიტიკის და საინჟინრო მენეჯმენტის მიმართულებით.“;

გ.ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ფაკულტეტის სრული სახელწოდებაა: ენერგეტიკის ფაკულტეტი, ინგლისურად – Faculty of Power Engineering, რუსულად – Факультет энергетики.“.

3. დადგენილების პირველი და მეორე პუნქტები ამოქმედდეს 2021 წლის 11 ოქტომბრიდან.

4. ფაკულტეტის დასახელების ცვლილებასთან დაკავშირებით შეტანილი იქნეს შესაბამისი ცვლილებები უნივერსიტეტის სტრუქტურასა და ერთიან საშტატო ნუსხაში.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე